ს ს ი პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

24. 11. 2011 №122

თბილისი

სტუ-ს არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 14 ნოემბრის სხდომის №39 ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი.
2. კონსურსი ჩატარდეს 2011 წლის 12 დეკემბერს.
3. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2011 წლის 25 ნოემბერს და დასრულდეს 2011 წლის 8 დეკემბერს 12 საათზე. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შენობაში. (მის: მინდელის ქ. №10. IV სართული), 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის
თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის
საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის
წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) ინსტიტუტის განვითარების ხედვა – პროგრამა.